

სახალხო საქმე

საქართველოს კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.

გენ. მახინაშვილმა ტუაფესს იქით ბრძოლაში დაამარცხა და წაართვა: 2 ზარბაზანი, 30 ტყვიის მურქვეველი, ჯავშნოსანი მატარებელი და აუარე-ბელი სხვა დაუღა. თათრების ცნობა ბაქოს აღების შესახებ ტყუილი აღმოჩნდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვე 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რეინის გზის სადგურებზე 60 კაპ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრუქტურის პერიოდული 60 კაპ., უკანასკნელი 40 კაპ. სამუდგო-ვითარა განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასაქონო ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

გულდაშვარნი შამა ივანე: დედა ეკატერინე, და თამარ და რძალი კატა მირიანაშვილები ამით აღწყებენ ნათესავეებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ორმოცის წიგნი და პანაშუიდი ბროლის ველზე გვირულად გარდაცვალებულს

კორუჩიკის აზრამ ივანეს პის მირიანაშვილისა

დანიშნულია შამათს ივლისის 28 ძველის სტოლით, (ავგისტოს 10, ახალის სტოლით) კახეთში, სოფელ ანგაში, ღვთისმშობლის ეკლესიაში. 834

ლიდი მირიანაშვილის

კ. ეფიმიანისა

მიხეილის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლოდ შეეკთ. კა-პიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—60.

1918 წ. დღეს, 8-ს და ხვალ 9 ავგისტოს გაიმართება

გალა-საგასტროლო

წარმოადგენს 25 საუკეთესო მსოფლიო მსახიობისა უკანას-კნელი ვასტროლი ცნობილ ეგვიპტელის ალსისა. მოქალაქე-ქნო ესწრაფეთ ამ ბუნების საოცრების ნახვას! ვასტრო-ლი ველიკოროსის კაპელისი დღეს გამოვა ცნობილი სლასტუშინსკი თავის საო-ცარ ბურთით. ანონსი; შამათს ავგისტოს გაიმართება კაპელას გრანდიოზული ბენეფისი შხადდება ჯერ უნახავი პროგრამა.



კვირას, ავგისტოს 11-ს **ქ. სიღნაღი** ახალ კლუბის, დარბაზში დანიშნუ-ლია სიღნაღის მახრის **სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზოგადო კრება.** მოსწენებები იქნება: 1) მიმდინარე მომენტზე; 2) ერობის არჩევნები მაზ-რაში; 3) აგრარული საკითხი; 4) საორგანიზაციო საკითხები და მიმდინარე კითხვები. ყველა ამხანაგს დასწრება ევალება აუცილებლად.

ურანგულ მისი მასშაბ-ღვალი მა-ლი, ჩამოსული, იძლევა პრაქტიკულ და თეორიულ გავეთილებს, თანახმად იყოს damé de compagnie რამდენიმე საათით, ნახვა შეიძლება 10—11^{1/2} საათამდე და საღამოთი 7—9 საათამდე. გუბნის ქ. 43, ბინა 5.

ტფილისი, ავგისტოს 8. ერთ-ერთს თავის სიტ-სახალხო ყვავი სახალხო განათ-განათლება ორგანიზაციის მისი ტრაპე-ღვალი ლასხიშვილიმა სტეკა, განსაკუთრებული ყურადღე-ბა უნდა მიექცეს ისეთს ადგილებს, სადაც სახალხო განათლების საქმე ძალიან დაბლა სდგას და ასეთ ადგილებს დასახე და ღუშეთისა და თიანეთის მაზრები, სამეგრელოს და სხვა ამისთანა ადგილები. საზოგად-ოდ აღმოსავლეთი საქართველო ამ მხრით ვაცილებით უფრო ცუდს პირობებში იმყოფება, ვიდრე დასავ-ლეთ საქართველო. მაგრამ თვით აღ-მოსავლეთ საქართველოც ერთნაირ პირობებში არ ამყოფება. ქართლში, მაგალითად, არის ისეთი ადგილები, სადაც წარმოადგენს კი არა აქვთ იმისა; თუ რა არის სკოლა ყველა-ზე უკან ჩამორჩენილ კლუბებზე უნდა ჩაითვალოს ღუშეთის მაზრა მთელი რიგი სოფლებისა მოკლებულია განათლების ელემენტარულ წყაროს, მოკლებულია მასწავლებლის ზნეობ-რივსა და იდეურ ზედგავლენას.

ამიტომ სამინისტრომ განსაკუთრე-ბული ყურადღება უნდა მიაქციოს ღუშეთის მაზრას და ყოველი ლო-ნის-ძიება მიიღოს, რომ ამ წლის ენკენისთვის დანერგონ სკოლა გახსნას ღუშეთის მაზრის სხვა და სხვა სოფლებში, ეს მით უფრო საჭიროა, რომ განვლილი ტრავადის შემდეგ ღუშეთი გლეხები ყოველნაირ პრა-ბაგანდის უკვე უნდა აღმოჩნდეს. ამიტომ სამინისტრომ განსაკუთრე-ბული ყურადღება უნდა მიაქციოს ღუშეთის მაზრას და ყოველი ლო-ნის-ძიება მიიღოს, რომ ამ წლის ენკენისთვის დანერგონ სკოლა გახსნას ღუშეთის მაზრის სხვა და სხვა სოფლებში, ეს მით უფრო საჭიროა, რომ განვლილი ტრავადის შემდეგ ღუშეთი გლეხები ყოველნაირ პრა-ბაგანდის უკვე უნდა აღმოჩნდეს.

ჩვენი რესპუბლიკა და პრეზი

არ არის ისეთი ბენეფიკი სახელმწი-ფო, რომლისთვის არ არსებობს ეროვნ-ული საკითხი ამა თუ იმ სახით. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ამ ქვეყანა-ში არ არსებობს ეროვნულად მთლიანი, წმინდა, შეუწყვეტილი სახელმწი-ფო, სადაც მხოლოდ ერთი ერი სტოვ-

რობდეს. ამიტომ იზადება აუცილებ-ლობა იმის, რომ მოწესრიგდეს დამო-კიდებულობა ეროვნული უმრავლესობი-სა ეროვნული უმცირესობისთან, მართვე-ლი ერისა სხვა ერებთან, რომლებიც მის სახელმწიფოს ფარგლებში მოთავსებუ-ლან.

ცხადია, ეს საკითხი არსებობს სა-ქართველოს რესპუბლიკისთვისაც. სა-ქართველოში დღეს უმრავლესობას ქარ-თველები შეადგენენ, საქართველო ქარ-თველი ერის სახელმწიფოა, რომელმაც სრული გზა უნდა მიეცეს ქართველი ხალხის შემოქმედებას და განვითარებას, უნდა საეხებთო გამოაცხადოს ქართველ-ლის ნიჭი და სულიერი სიმდიდრე— იმაშია აზრი და დანიშნულება ქართუ-ლი რესპუბლიკის დაარსებისა, მაგრამ ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე ცხოვ-რობენ აფხაზები, სომხები, ოსები, რომ-ელთა ეროვნულ ურთიერთობას ჩვენ-თან თავიდანვე გადაჭრილი, გარკვეული ხასიათი უნდა ჰქონდეს.

საქართველოს თავისუფლება პირდა-პირი პატივა, ურომლისთო ქართველი ერის არსებობა და დაწინაურება წარმო-უდგენელია. ეს ჩვენთვის გარდაუვალია და ვინც ვარეშე—იქნება ოსი, სომეხი თუ სხვა, ვინც წინააღმდეგობას გაუ-წყვეს, შეგებრობდება ჩვენს დამოუკიდებ-ლობას, ჩვენს ნორმს რესპუბლიკის, იმას ვერ დავინდობთ, ვერ შეურიგდებით და ყოველის საშუალებას ვინმართ ასეთი ელემენტების ასაღებად. ჩვენი სა-ხელმწიფოებრივი ცხოვრების მტრების-თვის შეუბრალებელი უნდა იყოს. ამ მხრივ ჩვენს პოლიტიკას არავითარი რყევა და ორქოვობა არ უნდა ემჩნე-ოდეს, განსაკუთრებით ჩვენი რესპუბლი-კის დასაწყისის დღეებში. უგვივი-სივსევეთ ნებას, რომ ხელი შეუშალოს ქართველი ხალხის სახელმწიფოს აშე-ნების მიძიება საქმეს.

ხოლო ამასთანავე უნდა უწყოდეს ყველამ, რომ საქართველო არასოდეს იქნება ეროვნული ჩავკის, შევიწროე-ბის და მოზობის ქვეყანა, ქართველი ხალხი არასოდეს აიღებს ხელში კირ-თებს სხვათა დასამორჩილებლად და სა-წამებლად, ჩვენი დემოკრატიული რეს-პუბლიკის პოლიტიკა არასოდეს იქნება პოლიტიკა ერების სულთამშუთავისა. ამას როცა ვამბობთ, სრულებით არ ვეყვარებით რაიმე სანტიმენტალურ გრძნობას, განყენებულ ზნეობრივ მო-სახრებას. ამ წუთში არც იმას მივაქ-ცევთ ყურადღებას, რომ ქართველი ერის დიდი უმრავლესობა დემოკრატიკა, სა-ქართველოს პოლიტიკურ ცხოვრე-ბისა დემოკრატიის ხელშია, რომელიც ვერ შეიგუებს სხვების დევნას, მოძღვრე-ბას და თავის თავისუფლებასთან ვერ დაივიწყებს სხვათა თავისუფლებასაც; რომელიც ვერავითარ შემთხვევაში იქი-სრებს კაცისა და ერის ჭამობას.

უბრალო ანგარიში, პირადი სარგებ-ლობა, ეგოისტური მოსახრება გვეყარ-ნახებს ქართველობას, რომ ჩვენი სა-ხელმწიფოებრივი პოლიტიკა არ იყოს შოვინისტური და ეროვნული ურთიერ-ობის გამწვავებისა. ჩვენ პატარა ერი ვართ, გარს გვარტყია ბევრი უცხო ერი და ისეთი სახელმწიფო ოსმალეთი, რომელიც ისტორიულად ჩვენი თავისუფლე-ბის მტრია და დღესაც იმას ცდილობს, რომ თუ მთლად ვერ მოგვსპო, მინც შეგებოროს და არსებობა გავვიწყოროს. ასეთ პირობებში იმპერიალისტური პო-ლიტიკა ვაწარმოოთ, ყველას ომი გა-მოუტყალოთ, დაუწყეთ დევნა—ეს მარ-ტო ცარიელი სიტყვა იქნება და ნამდვი-ლად კი ვერავის მოგვსპობთ, ვერავის დაივიწყებთ და გადავიტყობთ მხოლოდ, გავემწარებთ, რომ როგორც კი მარჯვე დროს და გარემოებას იშოვ-ნიან, მახვილი ჩავკენ ზურგში.

ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის ერთად-ერთი უმთავრესი პოლიტიკა ის იქნე-ბა, რომ მესობზე ერებთან და განსა-კუთრებით იმართან, რომლებიც ჩვენში ცხოვრობენ, მორიგებას და შეთანხმე-ბის გზას დავადგეთ, ოსი, სომეხი, აფხა-ზი საქართველოში არ უნდა ჰგობო-ბდეს თავს გარეყულად, გამეცხულებ და

სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მათ-თვის, როგორც ქართველებისთვის ავილოთ მაგალითად ოსების სა-კითხი, რომელთა შესახებ იმდენი ცხა-რე კამათი იყო ეროვნულ საბჭოში. ოსე-ბი ჩვენი ტერიტორიის ნაპირას ცხოვ-რობენ და ამით განსაკუთრებული მნი-შვნელობა აქვთ. ან უნდა ფიზიკურად გავდევნოთ საქართველოდან, რაც არ შეგვიძლია, ან როგორმე უნდა მოუ-რიგდეთ, შეუთანხმდეთ, რაც შესაძლე-ბელია, რადგან ოსისხალხის და საქართ-ველოს რესპუბლიკის ინტერესები ერთ-მეორეს არ ეწინააღმდეგებიან და ოსებს შეუძლიან ჩვენი ტერიტორიაზე თავ-ისუფლად ცხოვრება.

ჩვენ არ უნდა შევცდეთ ჩვენი რეს-პუბლიკა საქართველოში მცხოვრებ არა-ქართველებს, პირიქით უნდა მოვიგოთ მათი გული, მოვიპოვოთ მათი ნდობა.

სამ ფირცხალვა.

მთავრობა

აფხაზეთის საქმეთა მინისტრის მო-ხსენებით მთავრობამ დაადგინა: სა-მხედრო მინისტრს დაევალოს აფხა-ზეთში ინტერნაციონალურ რაზმის შედგენა.

სალოკვიდაცო კომისიაში კ. გვარ-ჯალაძის მაგივრად, რომელმაც უარი განაცხადა, თავმჯდომარედ დაინიშნა ა. მღვიანა.

უკანასკნელი სმოგები

მან. მახინაშვილის ზამარჯვება. გენერალ მახინაშვილისაგან მთავრო-ბამ შემდეგი დეპეშა მიიღო: მოპირდაპირე გროვდებოდა სადგ. მელორჩენსკის რაი-ონშიც შემოტრევა აპარტად. მე დავა-წარი და ავგისტოს 4-ს 13 საათზე ჩვენში მოწინავე რაზმა გაგვანტა მტერი, რომე-ლიც ტუაფესიდან 6 ვერსის მანძილზე დამაპყებულყო. ჩვენ განვაგრძეთ წინ-სვლა და წაყაწყეთ მოპირდაპირის ორ პოლკ—მიხეილის და მათკობისა, 4 ათას კაცამდე, რომელთაც მეთაურობდა ანტონოვი. მათ ქონდათ ჯავშნოსანი, მა-ტარებელი თავისუფლებისათვის შე-ბრძოლი № 2*, სამი ზარბაზანი და მრავ-ლი ტყვიისმურქვეველი. ბრძოლა დაი-წყო სოფ. გრეჩესკოიდან 4 ვერსზე.

ექვსი საათის გაცხარებულ ბრძოლის შემდეგ ანტონოვის რაზმი დაეპარცხეთ და გაფანტეთ. მოკლული და დაზოცი-ლი ბოლშევიკები ასობით ითვლება. ჯავ-შნოსანი მატარებელი დავამსხვრიეთ, ორთქლმავალი დაიწვა, ვაგონები ხელთ ვიგდეთ. ხელთ ვიგდეთ აგრედვე 2 ზარ-ბაზანი, 30 ტყვიისმურქვეველი, მრავა-ლი სატყვიისმურქვეველი პატრონოვი, და ვინტოკები. ხელში ჩავივარდა ავ-რეთვე გამზადებული სამხარეული, ვა-გონები სამანკო ინსტრუმენტებით, კონსერვები, ფეკრის, სატელეფონო მო-წოდებლობა, ცხრის ფარა და ოთხი ქა-ტარებლის შემადგენლობა. დავედევნეთ რა სასტიკად დამარცხებულ მტერს, ჩვენ დავიჭირეთ სადგ. კრივენკოვსკია, გავიართო კაიკე 5 ვერსი და იქ შეე-ჩერდით. დამარცხებულ მოპირდაპირეს წინააღმდეგობა არ შეუძლი თვით არ-მაგიარმდე, ჩვენ მოგვიკლეს 7 და და-გვიჭრეს 15.

მხარცხელთა შუამდგომლობა

ავგისტოს 6-ს შეიპყრეს ბოროტ მომ-ქმენი რომელთაც ავგისტოს 4 ნატა-ნებსა და ოზურგეთს შუა საფოსტო ავ-ტომობილი გამარცხეს, გაიტაცეს 25000 მანეთი, მოჭრეს მილიციონერი და ორი მკვავრი. მათ აღმოჩნდათ გატაცებული ფული. შეპყრობის დროს ორი მძარცვე-ლი მოჭკლეს.

ეროვნული საბჭო

ავგისტოს 6-ს სხდომა. თავმჯდომარეობს ე. თაყაიშვილი. მდიუ-ნის მიერ წაკითხულ წესრიგს სხდომისას ეროვნული საბჭო უცვლელად ამტკიცებს და გადადის პირველ საკითხზე. ეს საკი-თხია მოხსენება სარედაქციო კომისიისა წინა სხდომაზე მიწონებულ კანონთა უკანასკნელ რედაქცია შემდეგ საკითხს

წარმოადგენს მოხსენება სამანდატო კო-მისიისა შესახებ ქართველ მაჰმადიანის მამედ-ბეგ აბაშიძის საქართველოს ეროვნ-ულ საბჭოს წევრად ჩარიცხვისა.

ამ საგანზე მომხსენებელია **შალ. მიქე-ლაძე** (სოც.-ფედ.), რომელიც საბჭოს შემდეგს მოახსენებს. წარსულ ნოემბრი-დან, როდესაც საქართველოს ეროვნული ყრილობა მოხდა, მამედ-ბეგ აბაშიძე არჩეულ იყო ეროვნულ საბჭოს წევრად; მაგრამ შემდეგ წევრთა სიაში არ შეი-ტანეს, რადგან იგი ის აქ არ იყო. ესაა აბაშიძე ტფილისში დაბრუნდა და სურ-ვილი განაცხადა წევრად იყოს სამან-დატო კომისიამ სცნო რა საჭიროა საბ-ჭოში იყოს სამანდატიანო საქართველოს წარმომადგენელი, შემადგომლობს საბ-ჭოს წინაშე მამედ-ბეგ აბაშიძე წევრად მიღებული იყოს.

საბჭო ერთხმად იღებს კომისიის ასეთს წინადადებას. შემდეგი მორიგი საკითხია ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის წი-ნადადება საერობო არჩევნების გადადე-ბის შესახებ და ამირეკავასიის კომისი-ისათვის განსაკუთრებულ საერობო დაწე-სებულებათა დროებით დებულების ხელმძღვრედ გადასინჯვისა და შესწორე-ბის თაობაზე. მომხსენებელია **კლიმა-შვილი** (სოც.-დემ.) იგი ასე აცნობს საბ-ჭოს საქმის ვითარებას და მმართველობ-ბის და თვითმართველობის კომისიის დასყენებას უხარობს კრებას.

ჩვენი კომისიაში შემოვიდა წინადადე-ბა ნაციონალ-დემოკრატიულ ფრაქციისა — დროებით გადაიღოს არჩევნები საე-რობო დაწესებულებათა და მეორედ, კომისიამ გადასინჯოს და შეასწოროს კომისიისათვის შედგენილი და კანონ-დად გამოცემული დროებითი დებულებ-ის საკანონმდებლო წინადადება კომი-სიამ განიხილა, იქონია მასზე მსჯელობა და ვერ სცნო შესაძლებლად წინადადება მიეღო. ამ საკანონმდებლო წინადადებას ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის წარ-მომადგენელი ასაბუთებდა შემდეგი მო-სახრებებით. შეუძლებელია ეხლა ამ საერთო ანარქიის და უწყისობის და-როს არჩეული ხალხი არც იქნება ხალხის ნამდვილი სურვილის და ნების გამოხატველი. ამიტომ არჩევნები შეერგოს რსულ წესებების დაყარე-ბამდე. კომისიის ასეთ მოსახრებას ვერ დაეთანხმა. კომისიის სწორედ ესაა მთავარი ულერესად საჭიროდ საერობო არჩევნები მოხდეს ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, მოხდეს იმით, რომ ანარქია მიტონ მფინვარებს სოფელ და მიტონ ძირიანად აფორიკებს მის წყნარ ცხოვრებას, რომ სოფელს დე-ვენდომდე—გერ წელიწად ნახევრია —არ მიეცა საშუალება გამოიჩინოს თავისი შემოქმედებითი უნარი და თავის შინაური ადგილობრივი საკითხ-საქმეების გარეშე ამომძროს თავის ენერჯია.

მართლაც თვლი დედადღეული სოფელს, დაავიღოთ თვითადე მის ცხოვრებას და ნახათ, რომ თითქმის ყოველი დარ-გი სოფლის სამეურნეო ცხოვრებისა სა-ჭიროებს მოგვარებას და მოწესრიგებას ხალხის ჯანმრთელობა, საქონლის მოვ-ლა-მოშენება, სამეურნეო იარაღი, სავა-ლალო მფლობელობა გუბნისა, სიმღერე მოგზაურობისა, სწავლა - განათლების მხრივ ხალხის ჩამოქვეითება—აი ის სურ-ათი, რომელიც ვადავებებს თვალთ წინ სოფლის ყველა მეთაურებს. საჭი-როა სოფლის ენერჯია ამ საჭიროებათა გარეშე ამოქმედდეს და ამიტომაც კო-მისია, გამოდის რა ამ მოსახრებიდან, საჭიროდ სცნოს საერობო არჩევნები ესაბე მოხდეს.

ასეთ დასკვნას კომისია გარდა მო-ყვანილ საბუთებისა ფინანსიური მოსაზ-რებითაც აცდია. ეს მოსახრება კი შემ-დეგ შალ: ტფილისის მაზრაში არჩევნები უკვე მოხდა, გორშიც სამზადისა არის და თაღლიტო მიღებულია, ქუთაისის მაზრაშიც, რომდნადაც იქიდან მიღე-ბულ ცნობებით ვიცით, არჩევნები ნა-ხევრად უკვე დასრულებულია. არჩევნე-ბის ხელმძღვრედ კომისიის ამ საქმეზე უკვე დაუხარჯეს 43 ათასი მანეთი.

არჩევნები რომ გადაიდოს, თანამედროვე...

რაც შეეხება ერთ დემ. ფრაქციის წინადადებას...

გაქმნის ვარაუდები

ბაქო. ავგისტოს 5. ბაქოს მიმართულ...

ტფილისის რადიოსადგური იუწყება, რომ სხვა...

ქიურადმირიდან მიღებულ ცნობებით...

რუსეთი და მოკავშირეები

მოსკოვი. რადიო-დეკლამ. საბჭოთა მთავრობამ...

ბაქო. ავგისტოს 1-ს, დღეს 7 ს. მოპირდაპირე პარტიულად...

ნიკოლოზ მე-2-ე მიღებულია ფრანგული მოსკოვიდან...

გაზეთი „პრავდა“ მოწინავე წერილში ამბობს...

ერთად ომი გამოუცხადოს თავის ძველ მოკავშირეებთან...

ოჩის დავა

ბაქო. ავგისტოს 8-4. კრონპრინცი რუპრების არმია...

ბაქო. ავგისტოს 7-5. კრონპრინცის რუპრების ფრონტზე...

ბაქო. ავგისტოს 8-4. გერმანელების წინ ველის დაქვემდებარების...

ბაქო. ავგისტოს 8-9. სუასონის აღმოსავლეთი...

ბაქო. ავგისტოს 8-4. გუშინდელი უკან დახევა...

ბაქო. ავგისტოს 8-4. გუშინდელი უკან დახევა...

ბაქო. ავგისტოს 8-4. გასულ დღე-ღამეში ფრანგებმა...

ბაქო. ავგისტოს 8-5. ფრონტის მდგომარეობა...

საქართველოს სახელმწიფო უწყებანი

